

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და  
განვითარების ცენტრი

ფრიდრიხ-ებერტის ფონდი

„პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური  
პროგრამების ანალიზი და სამაგიდო წიგნის მომზადება“

## შინაარსი

შესავალი	2
1. პოლიტიკური პარტიების შერჩევის პროცესი	3
2. პოლიტიკური პარტიების მიერ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების მოწოდების ანგარიში	5
3. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრების ზოგადი ანგარიში	8
4. პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების ანალიზი და პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგები	10
4.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“	10
4.2. პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“	13
4.3. საქართველოს რესპუბლიკური პარტია	15
4.4. საქართველოს კონსერვატიული პარტია	17
4.5. პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“	19
4.6. „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები“	21
4.7. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტია“	24
4.8. საქართველოს ლეიბორისტული პარტია	26
4.9. პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“	28
4.10. „პოლიტიკური მოძრაობა თავისუფლება“	29
4.11. საქართველოს ქალთა პარტია „სამართლიანობისა და თანასწორობისათვის“	31
დასკვნები	32

## შესავალი

საქართველოში ბოლო 6 წლის განმავლობაში პოლიტიკური მდგომარეობა დინამიურად ვითარდება და ყოველწლიურად სხვადასხვა დონის არჩევნები ტარდება, რაც საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

სამწუხაროდ, საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული ცივილიზებული არჩევნების ჩატარების კულტურა. არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად გაცილებით მნიშვნელოვნად მიაჩნიათ პოლიტიკური ოპონენტების შეურაცყოფა და არა არგუმენტირებული კრიტიკა. ამასთან ერთად, საზოგადოებისათვის არ ხდება კონკრეტული პროგრამების შეთავაზება და ძირითადი საკითხები სლოგანების დონეზე ფორმულირდება.

გამომდინარე აღნიშნულიდან, საქართველოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკურ სივრცეში სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხების აქტუალიზაცია.

**პროექტის მიზანია** პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების ანალიზი და მეთოდური დახმარების აღმოჩენა.

### პროექტის ამოცანებია:

- საქართველოში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიების პროგრამების შესწავლა და ამ პროგრამების სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებების ანალიზი;
- პოლიტიკურ პარტიებთან ინტერვიუების ჩატარება და მათი ხედვის გაცნობა სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით;
- პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შესახებ ანალიტიკური ანგარიშის მომზადება;
- პოლიტიკური პარტიების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პლატფორმის შესახებ საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი;
- პოლიტიკური პარტიებისათვის სამაგიდო წიგნის მომზადება პოლიტიკური პროგრამების სოციალურ-ეკონომიკური ნაწილის შემუშავების თაობაზე;
- პოლიტიკური პარტიებისათვის სამუშაო შეხვედრის/ტრენინგის ორგანიზება სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შედგენაზე;
- საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების მიმართ ძირითადი მოთხოვნების შესახებ.

## 1. პოლიტიკური პარტიების შერჩევის პროცესი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა პროექტის პირველ ეტაპზე შეისწავლა საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები და გამოყო რამდენიმე პარტია მათი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შესასწავლად.

საქართველოში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიის) რეგისტრაცია ხორციელდება იუსტიციის სამინისტროში. იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებულია 208 პარტია, მათგან უდიდესი ნაწილი ე.წ. უმოქმედო პარტიებია, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში არ მონაწილეობდნენ არც ერთ არჩევნებში და სხვა პოლიტიკურ აქტივობებში. მეტ-ნაკლები აქტივობით ქვეყანაში 20-მდე პოლიტიკური პარტია გამოირჩევა. ცენტრის მიერ ძირითადი პოლიტიკური პარტიები გამოიყო შემდეგი ნიშნებით:

- წარმოდგენილები არიან საქართველოს პარლამენტში ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოებში; ან/და
- მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არჩევნებში;
- მონაწილეობას ღებულობდნენ 2009 წლის გაზაფხულზე საქართველოს პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციებში;
- რეაგირებენ სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებზე და გამოირჩევიან შედარებითი პოლიტიკური აქტიურობით.

შერჩეულ იქნა შემდეგი პოლიტიკური პარტიები:

### 1. საქართველოს რესპუბლიკური პარტია

ხელმძღვანელი: დავით უსუფაშვილი.

რეგისტრაციის თარიღი: 27.02.1998წ.

<http://www.republicans.ge>

### 2. საქართველოს ლეიბორისტული პარტია

ხელმძღვანელი: შალვა ნათელაშვილი

რეგისტრაციის თარიღი: 20.02.1998წ.

[www.labour.org.com](http://www.labour.org.com)

### 3. პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“

ხელმძღვანელი: ნინო ბურჯანაძე

რეგისტრაციის თარიღი: 23.12.2008 წ.

<http://www.democrats.ge>

### 4. პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“

ხელმძღვანელი: კახაბერ შარტავა

რეგისტრაციის თარიღი: 24.03.2008 წ.

<http://www.phorumi.ge/>

### 5. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"

ხელმძღვანელი: გიორგი თოფაძე

რეგისტრაციის თარიღი: 30.04.1999წ.

- 6. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“**  
ხელმძღვანელი: მიხეილ სააკაშვილი  
რეგისტრაციის თარიღი: 10.12.2004წ.  
<http://www.unm.ge>
- 7. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" (ახლები)**  
ხელმძღვანელი: დავით გამყრელიძე;  
რეგისტრაციის თარიღი: 11.07.2001წ.  
<http://www.nrp.ge>
- 8. საქართველოს კონსერვატიული პარტია**  
ხელმძღვანელი: ზვიად ძიძიგური  
რეგისტრაციის თარიღი: 14.06.2005წ.  
<http://www.conservatives.ge>
- 9. პარტია “საქართველოს გზა”**  
ხელმძღვანელი: სალომე ზურაბიშვილი  
რეგისტრაციის თარიღი: 05.04.2006წ.  
<http://thewayofgeorgia.org>
- 10. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “ჩვენ თვითონ”**  
ხელმძღვანელი: პაატა დავითაია  
რეგისტრაციის თარიღი: 18.05.2006წ.
- 11. პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტია“**  
ხელმძღვანელი: კობა დავითაშვილი  
რეგისტრაციის თარიღი: 30.08.2007 წ.
- 12. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტია“**  
ხელმძღვანელი: გიორგი მაისაშვილი  
რეგისტრაციის თარიღი: 11.10.2007 წ.  
<http://www.giorgimaisashvili.ge>
- 13. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“**  
ხელმძღვანელი: ირაკლი ოქრუაშვილი  
რეგისტრაციის თარიღი: 18.01.2008 წ.  
<http://www.mug.ge>
- 14. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“**  
ხელმძღვანელი: ჯონდი ბაღათურია  
რეგისტრაციის თარიღი: 12.03.2008 წ.
- 15. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“**  
ხელმძღვანელი: გიორგი თარგამაძე  
რეგისტრაციის თარიღი: 19.03.2008 წ.  
<http://www.cdm.ge>
- 16. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია**  
ხელმძღვანელი: ბაჩუკი ქარდავა  
რეგისტრაციის თარიღი: 23.01.1998წ.  
<http://www.ndp.ge>

**17. საქართველოს მწვანეთა პარტია**  
ხელმძღვანელი: გიორგი გაჩეჩილაძე  
რეგისტრაციის თარიღი: 27.02.1998წ.  
<http://www.greensparty.ge>

**19. „პოლიტიკური მოძრაობა თავისუფლება“**  
ხელმძღვანელი: კონსტანტინე გამსახურდია  
რეგისტრაციის თარიღი: 01.09.2003წ.  
<http://www.tavisupleba.ge>

**20. საქართველოს ქალთა პარტია „სამართლიანობისა და თანასწორობისათვის“**  
ხელმძღვანელი: გუგული მალრაძე  
რეგისტრაციის თარიღი: 26.03.2008 წ.  
<http://www.womentradition.org>

**21. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი**  
ხელმძღვანელი: აკაკი ასათიანი  
რეგისტრაციის თარიღი: 06.02.1998წ.

**22. „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები“**  
ხელმძღვანელი: ირაკლი ალასანია  
რეგისტრაციის თარიღი: 16.07.2009 წ.  
<http://www.ourgeorgia.g>

**23. “მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის”**  
ხელმძღვანელი: ზურაბ ნოღაიძე  
რეგისტრაციის თარიღი: 16.07.2009 წ.  
<http://www.justiceforgeorgia.ge>

## **2. პოლიტიკური პარტიების მიერ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების მოწოდების ანგარიში**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ შესწავლილი იქნა ზემოთაღნიშნული პარტიების ინტერნეტ გვერდები და განხორციელდა პირველადი კვლევა ჰქონდათ თუ არა პოლიტიკურ პარტიებს ვებ-გვერდი, რა ტიპის ინფორმაცია დევს ვებ-გვერდებზე, დევს თუ არა პარტიის პროგრამა და ა.შ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ოფიციალური წერილი (ბეჭდვითი ფორმით), თხოვნით სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის, ან/და კონკრეტული საარჩევნო პროგრამის მოწოდების თაობაზე, დაეგზავნა 23 პოლიტიკურ პარტიას, მათ შორის 2 პარტიასთან წერილი დაგვიანებით გაიგზავნა ელექტრონული ფორმით ოფისის წარმომადგენლებთან დაკავშირების შეუძლებლობის გამო.

წერილები დაიგზავნა შემდეგ პოლიტიკურ პარტიებთან:

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“
2. პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“
3. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
4. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
5. „პოლიტიკური მოძრაობა თავისუფლება“
6. საქართველოს ლეიბორისტული პარტია
7. პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“
8. პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“
9. საქართველოს მწვანეთა პარტია
10. პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“
11. საქართველოს რესპუბლიკური პარტია
12. სახალხო პარტია
13. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“
14. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა
15. საქართველოს კონსერვატიული პარტია
16. პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“
17. პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“
18. პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“
19. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
20. „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები“
21. პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტია“
22. საქართველოს ქალთა პარტია „სამართლიანობისა და თანასწორობისათვის“ (დაგვიანებით)
23. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტია“ (დაგვიანებით)

**ცენტრის წერილის თანახმად, პროექტის დროის განრიგიდან გამომდინარე, ინფორმაციის მოწოდება (დაბეჭდილი ან ელექტრონული ფორმით) უნდა მომხდარიყო 2009 წლის 22 სექტემბრამდე.**

**აღნიშნულ ვადაში ინფორმაცია მოგვაწოდა 4 პოლიტიკურმა პარტიამ:**

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“ - პროგრამის სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი (ელექტრონული ფორმით).
2. „ ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები“ - ძირითადი პროგრამა, რომელიც მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ მიმართულებებს (ელექტრონული ფორმით).
3. პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ - პარტიის პოლიტიკური პლატფორმა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად გასატარებელ გადაუდებელ ინსტიტუციონალურ ღონისძიებათა შესახებ (ელექტრონული ფორმით).
4. საქართველოს კონსერვატიული პარტია - პარტიის ვებ-გვერდის ლინკი, რომელზედაც მოთავსებულია სოციალური და ეკონომიკური დოკუმენტები და პროექტები (ელექტრონული ფორმით).

**24 სექტემბერს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაუკავშირდა ყველა პოლიტიკურ პარტიას, რომლებსაც არ მოუწოდებიათ ინფორმაცია, თხოვნით გამოეგზავნათ პროგრამები 26 სექტემბრამდე. აღნიშნულ პერიოდში პროგრამები მოგვაწოდეს შემდეგმა პოლიტიკურმა პარტიებმა:**

1. პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“ - პროგრამა, რომელშიც ასახულია ეკონომიკის საკითხები (ელექტრონული ფორმით).

2. საქართველოს რესპუბლიკური პარტია - პარტიის 2008 წლის საარჩევნო პროგრამა, ასევე სხვა დოკუმენტები, რომელშიც პარტიის შეხედულებებია მოცემული (ელექტრონული ფორმით).
3. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტია“ - ქართული ეკონომიკური საოცრება (ელექტრონული ფორმით).
4. „პოლიტიკური მოძრაობა თავისუფლება“ - პროგრამა (ბროშურის სახით).

**აღნიშნული პერიოდიდან (26.09.2009) 10 ოქტომბრამდე პროგრამები მოგვაწოდეს შემდეგმა პოლიტიკურმა პარტიებმა:**

1. საქართველოს ლიბორისტული პარტია - პარტიის პროგრამა, რომელშიც არის ეკონომიკური და სოციალური ნაწილი (ელექტრონული ფორმით).
2. პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ - ძირითადი მიმართულებები (ბროშურის სახით).
3. საქართველოს ქალთა პარტია „სამართლიანობისა და თანასწორობისათვის“ - პარტიის სოციალური პოლიტიკა (ელექტრონული ფორმით).

**დანარჩენ პარტიებს პროგრამები არ მოუწოდებიათ რამდენიმე მიზეზის გამო:**

- პარტია „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ - დასრულებულია პარტიის პროგრამა, რომელიც მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ ნაწილს. 27 ოქტომბერს ეროვნული უსაფრთხოების ნაწილის განხილვა განხორციელდა, ხოლო 3 და 10 ნოემბერს იგეგმება სოციალური და ეკონომიკური ნაწილების პრეზენტაცია. პარტიას სურს პროგრამა პრეზენტაციის შემდეგ გახდეს ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი, შესაბამისად, პროექტის ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა პროგრამის გაანალიზება.
- არ აქვთ საკუთარი პროგრამა, ვინაიდან არჩევნებში გამოდიოდნენ გაერთიანებული ოპოზიციის სახელით და ამჟამად მიმდინარეობს დამუშავება (პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტია“);
- არ აქვთ სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა);
- ამჟამად მიმდინარეობს დამუშავება (სახალხო პარტია);
- მიზეზი უცნობია (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; საქართველოს მწვანეთა პარტია; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“; პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“; პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“; ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი; პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“.)

პოლიტიკური პარტიებისაგან ინფორმაციის მოწოდების/არ მოწოდების პროცესში ნათლად გამოჩნდა ბევრი ნაკლოვანება, რომელიც პარტიების ორგანიზაციული მენეჯმენტის სერიოზულ სისუსტეზე მიუთითებს. შეიძლება ითქვას, რომ პარტიების დიდ ნაწილს:

- ოფისებში არ აქვთ დანერგილი სატელეფონო კომუნიკაციის ზოგადადმიღებულ წესები და საქმისწარმოების ელემენტარული წესები (ზოგიერთ შემთხვევაში ოფიციალური წერილები დაიკარგა და აუცილებელი გახდა ელექტრონული ფოსტით დამატებით გაგზავნა);

- ბევრ შემთხვევაში პრაქტიკულად არ არსებობს შიდაორგანიზაციული კომუნიკაციის არხები. მაგალითად, ოფისის წარმომადგენელი, ხელმძღვანელის ოფისში არ ყოფნის/თბილისში ან საქართველოში არ ყოფნის შემთხვევაში, არ მიიჩნევა აუცილებლად გააგებინოს ხელმძღვანელს წერილის შინაარსი ტელეფონით ან ელ. ფოსტით.
- უმეტეს შემთხვევაში სახეზეა პარტიების (როგორც ორგანიზაციის) სრული ცენტრალიზაცია. ლიდერთან/ებთან შეთანხმების გარეშე პარტიის წარმომადგენლები, თუნდაც ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი წარმომადგენლები, თავს იკავებენ ინფორმაციის მოწოდებისაგან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ისეთ საჯარო დოკუმენტს, როგორცაა პარტიის პროგრამა. პროგრამა ხომ სწორედ საზოგადოების ფართო მასებისთვის არის განკუთვნილი.
- ზოგიერთი პარტიის შემთხვევაში, ადმინისტრაციული თვალსაზრისით, არ არის დაყოფილი ფუნქციები. მაგალითად, პროგრამების მოწოდების პროცესში, აუცილებელი გახდა პარტიის რამდენიმე წარმომადგენლისათვის პროექტის მიზნების ახნა, რათა მიზნობრივად მომხდარიყო პასუხისმგებელ პირთან დაკავშირება.

## 5. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრების ზოგადი ანგარიში

პოლიტიკური პარტიებისაგან პროგრამების მოპოვების შემდეგ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ განხორციელდა პროგრამების შესწავლა. რის შემდეგ დაიგეგმა შეხვედრები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან (სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებთან).

პროგრამების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ცენტრმა ჩამოაყალიბა კითხვარი, რომლითაც უნდა გამოვლენილიყო პარტიების ხედვები არსებულ პროგრამებთან დაკავშირებით და მათი მომავალი გეგმები. კითხვარის სტრუქტურა შემდეგი სახით ჩამოაყალიბდა:

1. გაქვთ თუ არა ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა ცალკე? თუ არა, რა ფორმით არის ასახული სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი ზოგად პროგრამაში?
2. თქვენი აზრით, თქვენი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა რომელ იდეოლოგიას ეფუძნება? როგორია თქვენი მოდგომა ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის თაობაზე?
3. ვინ მუშაობდა სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამაზე შექმნაზე? მოხდა თუ არა პროგრამის განხილვა ექსპერტებთან? მოხდა თუ არა პროგრამის განხილვა საჯაროდ?
4. განხორციელდა თუ არა სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამაში ცვლილებები? როგორი ტიპის ცვლილებები განხორციელდა (მოხდა განახლება, თუ ფუნდამენტური ცვლილება)? რამდენჯერ მოხდა ცვლილება? შეიცვალა თუ არა პროგრამის სტრუქტურა? რამ განაპირობა სტრუქტურის ცვლილება? მოხდა თუ არა პროგრამის განახლება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ/ ან ფინანსური კრიზისის პერიოდში და აისახა თუ არა აგვისტოს მოვლენების/ან კრიზისის შედეგები პროგრამულ მიმართულებებზე?

5. მოცემულია თუ არა პროგრამაში ფინანსური გაანგარიშებები (ღონისძიებების გასატარებლად საჭირო სახსრები; ღონისძიებების ეფექტები და სხვა)? რამდენად არის დასაბუთებული შესაბამისი სახსრების მობილიზების რეალურობა?
6. რამდენად ადვილად ხელმისაწვდომია პროგრამა რიგითი მოქალაქისათვის? გაქვთ თუ არა შემუშავებული მექანიზმი, რომლის საშუალებითაც გაიგებდით მოსახლეობის მოსაზრებას პროგრამის შესახებ (უკუკავშირი)? რამდენად ინტენსიურია უკუკავშირი? ითვალისწინებთ თუ არა მოსახლეობის წინადადებებს?
7. თქვენი აზრით, არჩევნების დროს რა მნიშვნელობა ენიჭება პროგრამას საქართველოში?
8. აპირებთ თუ არა უახლოეს მომავალში პროგრამის გადამუშავებას? როგორი ტიპის ცვლილებების განხორციელებას აპირებთ? შეცვლით თუ არა სტრუქტურას?
10. ყველაზე მეტად რა სირთულეებს აწყდებით პროგრამის შემუშავებისას?
11. როგორი ტიპის დახმარება იქნება საჭირო ამ პროცესში?

**შეხვედრები დაიგეგმა იმ პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებმაც მოგვაწოდეს სოციალურ-ეკონომიკური / ან ზოგადი პროგრამა. შეხვედრები შედგა შემდეგ პოლიტიკურ პარტიებთან:**

1. პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“
2. საქართველოს კონსერვატიული პარტია
3. საქართველოს რესპუბლიკური პარტია
4. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტია“
5. პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“
6. „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები“
7. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“

საქართველოს ლეიბორისტულ პარტიასთან შედგა სატელეფონო საუბარი, რომელზეც განხილულ იქნა საკვლევი საკითხები.

**დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრა ვერ შედგა მათი მხრიდან პროგრამის არ მოწოდების ან კომუნიკაციის პრობლემების გამო.**

## 4. პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების ანალიზი და პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგები<sup>1</sup>

### 4.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“

#### *პროგრამის/ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ანალიზი*

პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" შეიქმნა 2001 წლის 15 ივნისს "ახალი ფრაქციის", "ახალი მოძრაობისა" და "ახალი კონსერვატორების" ბაზაზე. მას შემდეგ პარტიამ მნიშვნელოვან შედეგებს აღწევდა სხვადასხვა წელს გამართულ სხვადასხვა დონის არჩევნებზე, ამჟამად "ახალი მემარჯვენეები", ცნობილი მოვლების შედეგად, პარლამენტს გარეთ აგრძელებენ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას.

პოლიტიკური გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამაში ასახული ეკონომიკური ხედვა ეფუძნება ლიბერალური ეკონომიკის პრინციპებს, თუმცა რეალური გარდატეხის მიღწევის ფაზაში, ის ითვალისწინებს საჯარო ხელისუფლების პროაქტიურ პოლიტიკას, რომელმაც საბაზრო სისტემის ფუნდამენტურ პრინციპებთან წინააღმდეგობის გარეშე უნდა უზრუნველყოს თავად ამ მექანიზმების ეფექტური ამოქმედება.

პროგრამა სტრუქტურულად იყოფა 3 ძირითად ნაწილად, რომელშიც პირველი და მეორე თავი სიტუაციის ანალიზს ეთმობა, ხოლო მესამე ნაწილში ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებია განხილული. პროგრამის შინაარსი:

თავი I. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები 2003-2007 წლებში (42 გვერდი)

თავი II. აგვისტოს ომისა და გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (2 გვერდი)

თავი III. საქართველოს ეკონომიკა პერსპექტივაში (30 გვერდი)

ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისას გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის, ეროვნული ბანკის და ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ოფიციალური ინფორმაცია. აგრეთვე გამოყენებულია ცალკეული ექსპერტული შეფასებებიც.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციების განხილვა შემდეგი ქვეთავების მიხედვით ხორციელდება:

- მთლიანი შიდა პროდუქტი;
- სექტორული ეკონომიკა;
- საჯარო ფინანსები;
- მონეტარული ეკონომიკა;
- ეკონომიკის საგარეო სექტორი.

ეკონომიკური სიტუაციის ანალიზის დროს გამოყენებულია გრაფიკები და დიაგრამები, გაკეთებულია ექსპერტული შეფასებები.

პროგრამის მესამე თავში - საქართველოს ეკონომიკა პერსპექტივაში - მოცემულია პარტიის ხედვა, სტრატეგია და ამოცანები

<sup>1</sup> ანგარიშში შეხვედრების შედეგები ეფუძნება პარტიების წარმომადგენლების მიერ შეხვედრაზე გამოთქმულ მოსაზრებებს და არ ასახავს პროექტის ექსპერტების შეფასებებს.

**ხედვა** ძირეულად ეფუძნება ლიბერალურ ეკონომიკურ პრინციპებს და გრძელვადიან ამოცანად განსაზღვრულია წარმოების რეალური ფაქტორების და მწარმოებლობის გაზრდის საფუძველზე ეკონომიკური ზრდის და კეთილდღეობის მიღწევა.

**სლოგანი:** “ადამიანებს მივცეთ ანკესი და არა თევზი”.

პროგრამის მესამე თავი ითვალისწინებს რამდენიმე ბლოკს:

1. ზოგადი ეკონომიკური პრინციპები, სადაც მოცემულია:
  - საკუთრების და გარიგების დაცვის მექანიზმები
  - კონკურენციის დაცვა
  - ფისკალური პოლიტიკა
  - მონეტარული პოლიტიკა
  - საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა
  - მაკროეკონომიკური სტაბილურობა
  - ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა
  - დანაზოგები და ინვესტიციები
  - შრომის ბაზარი
  - 2009-2012 წლების გაზომვადი ეკონომიკური და სოციალური ამოცანები და მაკროეკონომიკური ფინანსური და ეკონომიკური გეგმები რიცხობრივ მაჩვენებლებში.
2. ქვეყნის საჯარო ხელისუფლების ორგანოების მოწყობის ინსტიტუციური სქემა, უფლებამოსილებების გამიჯვნა, ხელისუფლების ვერტიკალური დეცენტრალიზაცია ფინანსურ და ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციაზე განსაკუთრებული აქცენტით.
3. ინტერვენციონალიზმისთვის შერჩეულია სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოების სფეროები.
4. სოციალური სფეროს რეფორმა: საპენსიო რეფორმა, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს რეფორმა, სოციალურად გაჭირვებულთა ფულადი დახმარებების სისტემა.

პროგრამა კვალიფიციურადა არის შედგენილი და მოიცავს მრავალ ინოვაციურ და საინტერესო საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში გამოყოფილია მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი ღონისძიებები. ყველა საკითხთან მიმართებაში დასაბუთებულად არის წარმოდგენილი პრობლემა და მოცემულია შესაბამისი გადაწყვეტის გზები და წინადადებები.

სასურველია პროგრამების უფრო დეტალიზაცია, სადაც მოცემული იქნება ფინანსური გაანგარიშებები წლების მიხედვით, ღონისძიებების გასატარებლად საჭირო ფინანსური სახსრების მოცულობა და ეფექტიანობა. მაგალითად, მინიმალური პენსიის საარსებო მინიმუმამდე აწევა რა სახსრებით დაფინანსდება, რამდენად რეალურია მათი მობილიზება და სხვა.

## **პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგები**

**შეხვედრაზე დამსწრეები:** ირაკლი იაშვილი, 23.10.2009

პარტიის წარმომადგენლის აზრით, პარტიის პროგრამის უდიდესი ნაწილი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს ეხება და ძალიან დეტალურად არის წარმოდგენილი პარტიის ხედვა

ამ სფეროების რეფორმირების შესახებ. ამდენად, ცალკე სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის საჭიროება არ დგას.

პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამული ნაწილი ძირითადად ეფუძნება მემარჯვენე იდეოლოგიას. პარტიის პროგრამის ხედვით, სახელმწიფო ეკონომიკაში უნდა ერეოდეს მხოლოდ ზოგიერთ ნაწილში. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფუძველს და განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს კერძო სექტორი, დინამიურად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა და კონკურენცია. პროგრამაში გათვალისწინებულია ის კონკრეტული ნაბიჯები, რომელმაც ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში თუ დარგებში სტიმულირება და დინამიური საბაზრო სისტემების ჩამოყალიბების შეუქცევადობა უნდა განაპირობოს.

სოციალურ-ეკონომიკური ნაწილის შედგენაზე მუშაობდა 4-კაციანი ჯგუფი, მათ შორის 2 მოწვეული ექსპერტი, 1 - უშუალოდ პარტიის წარმომადგენელი, ხოლო 1 -ალიანსის წევრი რესპუბლიკური პარტიიდან. ამის შემდგომ ჩატარდა პროგრამის „გასვლითი“ განხილვა, ხოლო განხილვაზე წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით მოხდა საპროგრამო ნაწილის დახვეწა.

პარტიის პროგრამის ცალკეული ნაწილები გახდა ახალი პოლიტიკური ალიანსის პროგრამის ნაწილი, რომელიც საჯარო პრეზენტაციაც ოქტომბრის ბოლოს არის დაგეგმილი. პროგრამა გასული წლის აგვისტოს მოვლენების და მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიმდინარეობის ფონზე გაკეთდა, ამდენად, პროგრამაში ორივე გარემოება გათვალისწინებულია (პროგრამის მეორე თავი სწორედ ამ საკითხებს ეხება) და წარმოდგენილია შესაბამისი „რეცეპტები“.

პარტიის წარმომადგენლის თქმით, სოციალურ-ეკონომიკური ნაწილის თითოეული ღონისძიების ფინანსური გაანგარიშებები გაკეთებულია და ზოგიერთი მათგანი პროგრამაშიც დევს (მაგალითად, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ღონისძიებები). დანარჩენი ნაწილი ინახება პროგრამის სამუშაო ჯგუფთან. პროგრამა ეფუძნება ეკონომიკის განვითარებას არსებული რესურსების სრულად გამოყენების, მწარმოებლურობის ზრდისა და რეალურად ფუნქციონირებადი საბაზრო მექანიზმების სისტემის ფორმირებით, ასევე ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და სექტორების გრძელვადიანი განვითარების ტენდენციების შექმნას.

პარტიის წარმომადგენლებს ინტენსიური შეხვედრები აქვთ მოსახლეობასთან და ხორციელდება გარკვეული მოსაზრებების, საჭიროებების მიღება მოსახლეობის მხრიდან. პროგრამის ახალი ვარიანტი ჯერ არ არის განთავსებული ვებ-გვერდზე, პრეზენტაციის შემდგომ მოხდება მისი განთავსება.

პარტიის პროგრამა პარტიის წარმატებებისთვის მნიშვნელოვანია, ამიტომაც ჩაიდო მნიშვნელოვანი შრომითი რესურსები განახლებული საპროგრამო ნაწილის შესაქმნელად. პროგრამის გადამუშავება ახლო მომავალში არ იგეგმება, ვინაიდან მიმდინარე პერიოდში დასრულდა პროგრამის შემუშავება და მისი გადამუშავების საჭიროება არ არის.

პროგრამის შემუშავებისას არსებითი პრობლემები არ იყო, თუ არ გავითვალისწინებთ საჭირო ინფორმაციის სიმწირეს და სხვადასხვა წყაროდან მოძიებულ განსხვავებულ მონაცემებს (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ბანკი). მთავარი საჭიროება კი პროგრამის პოპულარიზაციისათვის დამატებითი რესურსების მოძიება და ამომრჩევლის დამატებით ინფორმირებაა.

## 4.2. პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“

### **პროგრამის/ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ანალიზი**

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსათვის“ შეიქმნა 2009 წელს. პარტიის ლოზუნგია – სამართლიანობა, ერთიანობა და კეთილდღეობა.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსათვის“ მთავარი პოლიტიკური ამოცანაა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სწორი საგარეო პოლიტიკის წარმართვა; საქართველოს გაერთიანება; მსოფლიოში ღირსეული ადგილის დამკვიდრება, რაც შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო მართვის ჭეშმარიტად დემოკრატიული სისტემის დამკვიდრების შემდეგ.

სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებაში პარტიის მიზანია დაბალი ინფლაცია, ფინანსური სექტორის მდგრადობა, ეკონომიკის სტაბილური და გრძელვადიანი 8-12%-იანი ზრდა; ერთიანი, ძლიერი და დამოუკიდებელი ეროვნული ბანკის ფორმირება; ზრუნვა სოციალური ფონის გაუმჯობესებაზე.

პარტიის პროგრამული დოკუმენტი (14 გვერდი) შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- სახელმწიფო მართვის საპარლამენტო სისტემა;
- საგადასახადო პოლიტიკა;
- საბიუჯეტო პოლიტიკა;
- მონეტარული პოლიტიკა;
- სოფლის მეურნეობის განვითარება;
- ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სოციალური პოლიტიკა;
- საგარეო პოლიტიკა;
- ქვეყნის უსაფრთხოება;
- კონფლიქტების მოგვარება;
- არმიის მშენებლობის გეგმა;
- სამართალდაცვის გეგმა.

თითოეულ ნაწილში ჩამოთვლილია ღონისძიებები, რომელთა გატარებასაც გეგმავს პარტია, ზოგიერთი ნაწილი, თავის მხრივ, იყოფა მცირე ნაწილებად. მაგალითად, სოციალური პოლიტიკა იყოფა შემდეგ ქვენაწილებად: სოციალური სფეროს მიზნები და ამოცანები; დევნილები უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ფართით; ჯანდაცვის მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფა; ჯანდაცვის სფეროში პრიორიტეტები; სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელება ჯანდაცვის ინფრასტრუქტურაში; ნარკომანთა რეაბილიტაცია; ჩვენ მივაღწევთ.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამული დოკუმენტი სტრუქტურითაა, თუმცა შემოიფარგლება მხოლოდ ღონისძიებების ჩამონათვალთ, მასში არ არის ასახული ღონისძიებების მიზნები, შედეგები და ეფექტიანობა, საჭირო სახსრები. მაგალითად, საგადასახადო პოლიტიკაში ვხვდებით: „გაუქმდება მოგების გადასახადი; გაუქმდება საშემოსავლო გადასახადი პროცენტებზე; გაუქმდება საბაჟო გადასახადი; საშემოსავლო დღეს გადასახადი საბაჟოზე და ა.შ.“ სასურველია ახსნილი იყოს რა შედეგი ექნება ამ ღონისძიებებს; გამოიწვევს თუ არა საგადასახადო შემოსავლების შემცირებას ბიუჯეტში და რამდენად, და სხვა. ზოგიერთი ღონისძიება ზოგად ხასიათს ატარებს, მაგალითად, „საქართველო, პრაქტიკულად, გახდება თავისუფალი ეკონომიკური ზონა; ინფლაცია იქნება დაბალი; ფინანსური სექტორი მდგრადი და სხვა.“

### **პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგები**

## შეხვედრაზე დამსწრეები: ლევან როინიშვილი, 15.10.2009

პარტიას ცალკე არა აქვს სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა. სოციალური და ეკონომიკური საკითხები ასახულია პროგრამული დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილებში.

პროგრამული დოკუმენტის შემუშავების დროს თითოეული ნაწილის განხილვა მოხდა ცალ-ცალკე, პარტიის წარმომადგენლების სხვადასხვა ჯგუფის მიერ.

პარტიის სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი ძირითადად ეფუძნება მემარჯვენე-ცენტრისტულ (ნაწილებრივ კონსერვატიულ) იდეოლოგიას. პარტიის ხედვით, სახელმწიფო ეკონომიკაში მინიმალურად უნდა ერეოდეს, იგი უნდა საზღვრავდეს თამაშის წესებს და თვითონ არ უნდა იყოს მოთამაშე (მიმწოდებელი).

სოციალურ-ეკონომიკური ნაწილის შედგენაზე მუშაობდა 10 კაციანი ჯგუფი, მათ შორის ზურაბ ნოლაიძელი, ლევან როინიშვილი, შოთა გვენეტაძე, პეტრე მამრაძე, ზურაბ ანთელიძე, ასევე ხორციელდებოდა გარე ექსპერტების მოწვევა. სოციალური და ჯანდაცვის ნაწილის წარმოდგენა მოხდა საჯაროდ პრესკონფერენციის სახით. მოსახლეობას დაურიგდა ბეჭდვითი სარეკლამო ბროშურები, ასევე მიმდინარეობს სატელევიზიო კამპანია.

პროგრამა შემუშავდა 2008 წლის დეკემბერში, მას შემდეგ მასში შევიდა ცვლილებები ეკონომიკური მოვლენების დიმანიკიდან გამომდინარე (მაგალითად, ცვლილებები სამშენებლო და საბანკო სექტორთან დაკავშირებით), თუმცა პროგრამის ძირითადი მიმართულებები და სტრუქტურა არ შეცვლილა. ყოველ სამ თვეში ხორციელდება პროგრამის ღონისძიებების გადახედვა. უახლოეს მომავალში პროგრამის სტრუქტურის ცვლილება არ იგეგმება.

პარტიის წარმომადგენლის თქმით, სოციალურ-ეკონომიკური ნაწილის თითოეული ღონისძიების ფინანსური გაანგარიშებები გაკეთებულია, თუმცა მოცემული არ არის წარმოდგენილ საპროგრამო დოკუმენტში და არც საზოგადოებისათვის არ არის ხელმისაწვდომი.

პარტიის წარმომადგენლები შეხვდნენ პოტენციურ ამომრჩევლებს და მათ გააცნეს პროგრამა, თუმცა მათთან უკუკავშირის მექანიზმი დანერგილი არ არის.

არჩევნების დროს პროგრამას საქართველოში ძალიან უმნიშვნელო როლი ენიჭება, ძირითადად პიროვნულ ფაქტორს აქცევს ყურადღებას ამომრჩეველი. უფრო დიდი ინტერესია ექსპერტების მხრიდან.

პარტია ყველაზე მეტად პროგრამის შემუშავებისას შიდაპარტიული კომუნიკაციის სიმწირეს ასახელებს. სასურველი იქნება თუ პარტიას გაეწევა დახმარება ორი მიმართულებით: პირველი, პროგრამის ფორმა (სტრუქტურა) და მეორე, უფრო მნიშვნელოვანი, პროგრამის შემუშავების პროცესი (შემუშავების ნაბიჯები და ეტაპები).

პროგრამის შემუშავებას პარტია უდგება შემდეგი პრინციპით: „რა არის სწორი?“, რასაც შესაბამისი „შეფუთვა“ სჭირდება, რომ ის ადვილად აღსაქმელი და მისაღები იყოს მოსახლეობისათვის.

### 4.3. საქართველოს რესპუბლიკური პარტია

## პროგრამის/ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ანალიზი

საქართველოს რესპუბლიკური პარტია ერთ-ერთი ყველაზე ძველი პარტიაა ქვეყანაში რეალურად მოქმედ პარტიებს შორის, 2008 წელს მას 30 წელი შეუსრულდა. პარტიის სლოგანია „ნეობოლშევიზმიდან ლიბერალური დემოკრატიისაკენ“. პარტიის მოქმედი პროგრამა შემუშავებული და დამტკიცებულია 2006 წელს. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტიის მიერ შემუშავებული იქნა ასევე წინასაარჩევნო განაცხადი და განახლებული პროგრამის ძირითადი მიმართულებები. პარტიის პროგრამაში მოცემულია პარტიის ხედვა, სტრატეგია და ამოცანები. პროგრამა მოიცავს ყველა იმ აუცილებელ სფეროს, რაც სრულ წარმოდგენას უქმნის ამომრჩეველს პარტიის ხედვისა და ამოცანების შესახებ. პროგრამა აგებულია ისეთი პრინციპით, რომ შესაბამის თავში ჯერ ჩანს მოქმედი ხელისუფლების შეცდომები და არსებული პრობლემები, რომელსაც შემდგომ მოსდევს რესპუბლიკური პარტიის ხედვა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

პარტიის პროგრამაში ასახული ეკონომიკური ხედვა ძირითადად ეფუძნება ლიბერალური ეკონომიკის პრინციპებს, თუმცა ზოგიერთი სფეროს სახელმწიფო რეგულირებასაც ითვალისწინებს. რესპუბლიკური პარტიის პროგრამა სხვა პარტიების პროგრამებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ მოცემულია კონკრეტული საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უნდა იქნას მიღებული ან მოქმედ კანონებში შესაცვლელი ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის მისაღწევად.

პროგრამა სტრუქტურულად იყოფა 3 ძირითად ნაწილად, რომელშიც პირველი თავი პარტიის წინასაარჩევნო განაცხადს ეთმობა, მეორე თავში დეტალურად მოცემულია პარტიის საარჩევნო პროგრამის მიმართულებები, ხოლო მესამე თავში მოცემულია პარტიის პოლიტიკური არჩევანი:

თავი I. საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო განაცხადი (9 გვერდი);

თავი II. საქართველოს რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო პროგრამის მიმართულებები (29 გვერდი);

თავი III. პოსტკომუნიზმიდან ლიბერალური დემოკრატიისაკენ - რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური არჩევანი (6 გვერდი).

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის მიერ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში არსებული ვითარების გამოსასწორებლად შემოთავაზებულია შემდეგი კანონების მიღება (რომლებიც სადღესოდ არ არსებობს):

- კანონი „გადამხდელის უფლებების დაცვის შესახებ“;
- კანონი „პრივატიზაციის პროცესში მოსახლეობის ინტერესების დაცვისა და სტაბილიზაციის ფონდის შესახებ“;
- კანონი „ბიზნესის თავისუფლებისა და დასაქმების შესახებ“;
- კანონი „სოფლის განვითარების შესახებ“;
- კანონი „სამედიცინო ობიექტების პრივატიზაციისა და სამედიცინო საქმიანობის სუბიექტის უფლებათა დაცვის შესახებ“;
- კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“.

წარმოდგენილია ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები, რომლის მიხედვითაც გაუქმდება გადასახადების ავანსად გადახდის წესი და საარსებო მინიმუმის დაბეგვრა, აღდგება საგადასახადო დავების კერძო არბიტრაჟში გადაწყვეტის წესი და სამემოსავლო გადასახადი 2014 წლისთვის შემცირდება 10%-მდე. გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, შემოთავაზებულია ასევე შემდეგი სტრუქტურული ცვლილებების (რეფორმების გატარების) აუცილებლობა:

- ✓ **დევნილთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა.** დევნილებისათვის დღევანდელი საცხოვრებლების საკუთრებაში გადაცემას, დევნილთა სოციალური დაცვის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებას, მათ შორის სოციალური შეღავათების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემაში;
- ✓ **საპენსიო უზრუნველყოფა სახელმწიფო და კერძო ფონდებიდან.** საპენსიო რეფორმით ყოველი სრულწლოვანი მოქალაქე დაუყოვნებლივ ჩაერთვება სახელმწიფო და კერძო საპენსიო დაზღვევის კომბინირებულ სისტემაში. სახელმწიფოს დაეკისრება მოხუცების შემწეობის და საჯარო მოხელეთა საპენსიო დაზღვევის უზრუნველყოფა. კერძო დამქირავებლებს დაეკისრებათ დაქირავებულთა საპენსიო დაზღვევა. ამგვარად, ყოველი პენსიონერი მიიღებს მოხუცებულობის შემწეობას და საპენსიო ფონდიდან გადახდილ პენსიას.
- ✓ **მედიკამენტებზე მონოპოლიის გაუქმება, წამლის გაიაფება, ჯანმრთელობის კომბინირებული დაზღვევა.** სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დაფინანსებას შერეული სადაზღვევო პრინციპით. სახელმწიფო ვალდებული იქნება, თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები დააზღვიოს (პირველ ეტაპზე) 175 ლარის ოდენობით წელიწადში. დამსაქმებელი ვალდებული იქნება, ყოველი დასაქმებულის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები დააზღვიოს (ფიქსირებულად) 175 ლარის ოდენობით წელიწადში. მოქალაქე ვალდებული იქნება, საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები ინდივიდუალური წესით დააზღვიოს წელიწადში 60 ლარის ოდენობით.

რესპუბლიკური პარტიის პროგრამა საკმაოდ კვალიფიციურადაა შედგენილი და მოიცავს არა მხოლოდ ტექსტობრივ ნაწილს, არამედ ზოგიერთ ნაწილში მოყვანილია შესაბამისი ფინანსური გაანგარიშებები. თუმცა, უმჯობესი იქნებოდა ყოველი რეფორმის ბოლოს მოყვანილი იყოს საჯარო ფინანსების მოცულობა, რაც ამა თუ იმ რეფორმის განხორციელებას დასჭირდება. შესაბამისად, შესაძლებელი იქნებოდა დაგვეთვალა მთლიანად პროგრამის რეალიზაციისათვის (რეფორმათა გატარებისათვის) საჭირო რესურსების მოცულობაც.

### **პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგები**

#### **შეხვედრაზე დამსწრეები: თენგიზ შერგელაშვილი, 15.10.2009**

პარტიის პროგრამა შემუშავებულია და დამტკიცებულია. ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური საკითხების ნაწილი ცალკე არსებობდა, სანამ რესპუბლიკური პარტია გაერთიანდებოდა ალიანსში „ერთიანი საქართველოსათვის“. ამდენად, ამ ეტაპზე პარტიას აქვს საკუთარი პროგრამა თავისი სოციალურ-ეკონომიკური ნაწილით, ხოლო ალიანსის პროგრამა დასრულების სტადიაშია და იქაც ასახული იქნება შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი.

პარტიის სოციალურ-ეკონომიკური მიმართულება ეფუძნება ლიბერალურ ეკონომიკურ იდეოლოგიას, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში გათვალისწინებულია სახელმწიფოს მინიმალური ინტერვენცია. პარტიის თვალთახედვით, სოფლის მეურნეობაში და სოციალურ სფეროში რეგლამენტირებული ჩარევაა საჭირო, ხოლო დანარჩენი სფეროები ლიბერალური უნდა იყოს.

პროგრამის შექმნაზე მონაწილეობდა პარტიის შიგნით შექმნილი ჯგუფი შესაბამისი დარგების მიხედვით. პარტიის პროგრამის განხილვა და დახვეწა მოხდა ექსპერტთა მონაწილეობით. პროგრამის საჯარო განხილვა არ მომხდარა, ვინაიდან გადაწყვეტილი იქნა ალიანსის ერთიანი პროგრამის ფორმირება და შესაბამისად მოხდებოდა მისი საჯარო განხილვა.

გასულ საპარლამენტო არჩევნებამდე არსებობდა პარტიის პროგრამის გარკვეული ვერსია, თუმცა წინასაარჩევნოდ განხორციელდა მისი შევსება-გადაამუშავება.

2008 წლის აგვისტოს მოვლენები და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენა აისახა პროგრამაში, სტრუქტურაც შეიცვალა გარკვეულწილად. ალიანსის პროგრამაში გამოიწვევლია კრიზისთან დაკავშირებული მოკლევადიანი და სხვა გრძელვადიანი ნაწილი (კეინსის ეკონომიკური ნაწილი).

პროგრამის ფინანსური გაანგარიშებები არსებობს ცალკე დოკუმენტის სახით და ის პირდაპირ პროგრამაში არ არის ასახული. თუმცა, მთლიანი რეფორმების საერთო ჯამური ღირებულება არ არის მოცემული, რადგანაც პარტიის მოსაზრებით არსებული საჯარო ფინანსების პირობებში ყველა განაცხადის ეტაპობრივი განხორციელება შესაძლებელია. პროგრამის საერთო აქტივობები მთავრდება 47 წლის შემდეგ, განსაკუთრებით სოციალურ ნაწილში.

პროგრამაზე მიმოხილვები პარტიის ყოველთვიურ გაზეთშია მოტანილი. ამასთან, პროგრამა განთავსებულია პარტიის ვებ-გვერდზე, ვრცელდება რეგიონალურ ოფისებში და საჯარო რეგიონალურ შეხვედრებზე. პარტიის ოფისებში უკუკავშირისთვის არსებობს მოსაზრებების ყუთი. საჯარო შეხვედრებზე გამოთქმული წინადადებები ძირითადად ორგვარია: ვიწრო პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული და თემატური წინადადებები.

პარტიის პროგრამას ისეთ განვითარებულ ქვეყანაშიც კი, როგორც გერმანია, ამომრჩეველთა მხოლოდ 28%-მდე აქცევს ყურადღებას. ამომრჩეველების მხოლოდ ცოტა ნაწილი აქცევს ყურადღებას პროგრამას. თუმცა, ეს ვითარება ნელ-ნელა უმჯობესდება და ამომრჩეველი ეჩვევა პროგრამების გაცნობას.

უახლოეს მომავალში იქნება ალიანსის ერთიანი პროგრამა, თუმცა პარტიის პროგრამაშიც იქნება გარკვეული კორექტირებები.

პროგრამის შემუშავებისას ყველაზე დიდი პრობლემაა სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა და არასაიმედოობა. არის ასევე სოციალურ-ეკონომიკურ ნაწილში საერთო ტერმინოლოგიური პრობლემები.

დახმარებიდან მნიშვნელოვანია ე.წ. „შავი სამუშაოების“ შესრულება, ანუ წინამოსამზადებელი გაანგარიშებების და ა.შ. მომზადება; მნიშვნელოვანია ასევე განხილვებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები.

#### 4.4. საქართველოს კონსერვატიული პარტია

##### *პროგრამის/ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ანალიზი*

საქართველოს კონსერვატიული პარტია დაფუძნდა 2001 წელს, მას შემდეგ, რაც პატიმრობიდან გაათავისუფლეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის მომხრეთა დიდი ნაწილი, მ.შ. ზვიად ძიძიგური, რომელიც პარტიის პირველ თავმჯდომარედ იქნა არჩეული. ამ ორგანიზაციაში გაერთიანდა 80-იანი წლების ბოლოდან არსებული ბევრი სხვადასხვა პოლიტიური პარტია თუ დისიდენტური ჯგუფი.

წესდებით განსაზღვრულია პარტიის მიზნები, რომელთაგან სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებას პირდაპირ ეხმიანება:

- კერძო საკუთრების დაცვა, სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობის კერძო ავტონომია, სიტყვის თავისუფლება;
- სიღარიბის დამლევა, უღარიბესი ფენისათვის სოციალური პროგრამების განხორციელება.

სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში კონსერვატიულ პარტიას გააჩნია 2 პროგრამა:

1) ეკონომიკური რეფორმების პროგრამა

დოკუმენტის მოცულობაა 4 გვერდი და მასში პუქტებად არის გადმოცემული ინიციატივები. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- კერძო საკუთრების დაცვა;
- გადასახადების ლიბერალიზაცია;
- სახელმწიფოს არაპირდაპირი ინვესტიციები;
- სახელმწიფოს პირდაპირი ინვესტიციები;
- დასაქმების ხელშეწყობა - მცირე მეწარმეების/გლეხების მხარდაჭერა;
- მომხმარებლის დაცვა-სამართლიანი ფასები.

2) სოციალური დაცვის პროგრამა

დოკუმენტის მოცულობაა 4 გვერდი და იგი ეკონომიკური რეფორმების პროგრამის მსგავსად პუნქტების ფორმითაა მოცემული.

- დაქირავებულთა უფლებების დაცვა;
- უმუშევრების სოციალური დაცვა და დასაქმების ხელშეწყობა;
- საპენსიო უზრუნველყოფა;
- ინვალიდების სოციალური დაცვა;
- არასრულწლოვნების სოციალური დაცვა;
- ანაბრების და სხვა შიდა ვალების დაფარვა;
- დევნილების სოციალური დაცვა;
- მიწისძვრით და სტიქიით დაზარალებულების სოციალური დაცვა;
- ვეტერანების სოციალური დაცვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე პროგრამაში საკმაოდ საინტერესო ინიციატივებია მოცემული. თუმცა ამ დოკუმენტებს პროგრამის სახე არ აქვთ.

### **პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგები**

#### **შეხვედრაზე დამსწრეები: კახა კუკავა, კახა ხაინდრავა, 15.10.2009**

პარტიის პროგრამა შემუშავების სტადიაშია, თუმცა ცნობილია მისი სტრუქტურული მონახაზი. პარტია შეიმუშავებს ზოგად მანიფესტს (საგურამოს მანიფესტი), რომელშიც აისახება ძირითადი მიმართულებები და პოსტულატები - დაახლოებით 12 მიმართულება, მათ შორის რამდენიმე შეეხება სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს. ასევე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას თითოეული მიმართულების მიხედვით.

პარტიის სოციალურ-ეკონომიკური მიმართულება ეფუძნება მემარჯვენე-ცენტრისტულ იდეოლოგიას. პარტიის ხედვით, ეკონომიკის რეგულირების თვალსაზრისით, სახელმწიფო რეგულირება უნდა იყოს მინიმალური, თუმცა შესაძლებელია სახელმწიფო გამოდიდოდეს ინვესტორის (პირდაპირი და არაპირდაპირი) როლში ზოგიერთ სფეროში.

ამჟამად, პროგრამა ერთიანი დოკუმენტის სახით არ არსებობს, ის სხვადასხვა დოკუმენტისა და პროექტების კომპილაციაა, რომელიც 5-6 წლის განმავლობაში მუშავდებოდა. კომპილაცია განახორციელეს კახა ხაინდრავამ და აკაკი ლოდიაძემ.

ცალკეულ პუნქტებზე განხორციელდა საინფორმაციო კამპანიები, თუმცა დაძაბული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საჯარო განხილვები არ მომხდარა.

სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით ფინანსური კრიზიდან გამომდინარე ცვლილება განხორციელდა მხოლოდ საბანკო სექტორთან, კერძოდ, ვადაგადაცილებულ საბანკო დავალიანებებთან, დაკავშირებით.

ფინანსური გაანგარიშებები აქამდე არ ხორციელდებოდა, თუმცა უახლოეს მომავალში 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე დაყრდნობით იგეგმება.

პროგრამის ერთი დოკუმენტის სახით არ არსებობის გამო, მოსახლეობასთან უკუკავშირი არ შემდგარა, თუმცა მომავალში იგეგმება არასამთავრობო სექტორთან შეხვედრები და დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეკრება ინტერენტის საშუალებით.

პარტიის წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამის ფიარ ნაწილს (რამდენიმე გვერდიან ძირითად მიმართულებებს) ენიჭება არჩევნების დროს დიდი როლი, ხოლო დეტალების გაცნობის თვალსაზრისით მოსახლეობის დაინტერესება ნულოვანია.

პარტია პროგრამის შემუშავებისას აწყდება შემდეგ პრობლემებს: ინფორმაციის ნაკლებობა და სანდოობის დაბალი დონე; ეკონომიკის სფეროში არ არის საჯარო განხილვები უზრუნველყოფილი; კომუნიკაციის დეფიციტი ეკონომიკის ექსპერტებთან. პარტია საჭიროებს ეკონომიკური პროფილის არასამთავრობო სექტორის მხრიდან დაინტერესებას შემუშავებული პროგრამის განხილვის პროცესში; ევროპული პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ პროგრამის ექსპერტიზას, როგორც პროგრამის შემუშავების ტექნიკური პროცესების, ისე მენეჯმენტის თვალსაზრისით.

#### **4.5. პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“**

##### ***პროგრამის/ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ანალიზი***

პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა - ერთიანი საქართველოსთვის“ შეიქმნა 2007 წლის 15 დეკემბერს. პარტიას შემუშავებული აქვს პოლიტიკური პლატფორმა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად გასატარებელ გადაუდებელ ინსტიტუციურ ღონისძიებათა შესახებ.

„მოდრაობას ერთიანი საქართველოსათვის“ მიაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ეკონომიკურ და ფისკალურ რეალობასთან ახლოს მყოფი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტრატეგია, რომლის მთავარ ამოცანად უნდა იქცეს მეწარმისათვის მაქსიმალურად შეღავათიანი საგადასახადო და სხვა სახის ხელშემწყობი მექანიზმების და სამომხმარებლო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის პირობების შექნა.

პლატფორმაში ხაზია გასმული, რომ სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების გამოვლენის გზით საკანონმდებლო ბაზის ორიენტირება და მისი სრულყოფა.

პლატფორმაში განხილულია გასატარებელი გადაუდებელი ღონისძიებები შემდეგი მიმართულებებით: ქართული ეკონომიკის განვითარება; განათლება და მეცნიერება; სოციალური დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა და მიგრაციის პოლიტიკა; კულტურა, ძეგლთა

დაცვა, ახალგაზრდობა და სპორტი; სოფლის მეურნეობა; ინსტიტუციური რეფორმა ფისკალურ სფეროში.

ეკონომიკის განვითარების მიმართულებით განხილულია შემდეგი ღონისძიებები: სამეწარმეო საქმიანობის გათავისუფლება გადასახადებისაგან საწყის ეტაპზე; საშემოსავლო (8-9 %-ით), მოგების და (4-5%-ით), დამატებითი ღირებულების გადასახადების მკვეთრი შემცირება და გადახდის კლასიფიცირებული, დიფერენცირებული პრინციპების დაფუძნება; სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილის მიმართვა საკრედიტო-საინვესტიციო და სახელმწიფო სუბვენციის პროგრამებზე; სამეწარმეო სივრცის დაცულობისა და თავისუფლების ხარისხის გაზრდა; სახელმწიფო ქონების მართვის სისტემის და მოქმედი კანონმდებლობის შეცვლა; ინვესტიციების შესახებ კანონმდებლობის რეალური ამოქმედება; სახელმწიფო შესყიდვების მექანიზმების რეფორმირება და გამკაცრება; მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური დაგეგმარების და პოლიტიკის წარმოების პროცესების სრულყოფა; ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობიდან სახელმწიფო ქონების, პრივატიზების დეპარტამენტების, საწარმოთა მართვის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოების გამოსვლა და მათ ბაზაზე სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების მართვის სამინისტროს შექმნა; მაღალმთიანი რეგიონების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის რეალური ამოქმედება და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო ფონდის შექმნა. ეკონომიკური ღონისძიებები ასევე განხილულია სხვა ნაწილებშიც (სოფლის მეურნეობა, ფისკალური სფეროს ინსტიტუციონალური რეფორმა და სხვა).

სოციალური ღონისძიებები გაერთიანებულია სოციალურ, ჯანმრთელობის დაცვისა და მიგრაციის პოლიტიკის მიმართულებაში.

პლატფორმაში საინტერესოდ არის წარმოდგენილი ღონისძიებები, თუმცა ბევრი მათგანი ზოგად ხასიათს ატარებს, არ არის ახილი პრობლემა, დასაბუთებული ღონისძიებების ეფექტიანობა. მაგალითად, როდესაც საუბარია გადასახადების შემცირებაზე ან გათავისუფლებაზე - „მომრაობა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შექმნის ყველა წინაპირობას, რათა მეწარმემ შეძლოს განავითაროს თავისი ბიზნესი, სამეწარმეო საქმიანობის საწყისი 6 თვიდან 4 წლამდე ეტაპი, სამეწარმეო საქმიანობის პრიორიტეტისა და მოცულობის გათვალისწინებით, უნდა განთავისუფლდეს გადასახადებისაგან“, სასურველი იყო ფისკალური ეფექტის გამოანგარიშება მომხდარიყო, ასევე მითითებული იყოს პარტიის ხედვა სამეწარმეო საქმიანობის პრიორიტეტებისა და მოცულობის კლასიფიკაციის შესახებ. ღონისძიებები მსგავსად არის სტრუქტურირებული სხვა მიმართულებებშიც. მაგალითად, სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ვხვდებით ღონისძიებას: „სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს 60 წელს ზემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანდაცვითი მომსახურების ხარჯები და შექმნას მათთვის ღირსეული დასვენების პირობები“. სასურველია აიხნას, რა იგულისხმება აღნიშნულ ხარჯებში და რა ოდენობის თანხებზეა საუბარი, რას გულისხმობს ღირსეული დასვენება და ა.შ.

### **პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგები**

**შეხვედრაზე დამსწრეები: ნიკა გელაშვილი, 19.10.09**

პარტიას ცალკე სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა არ აქვს, თუმცა ამ მიმართულებით ძირითადი ხედვები პარტიის ერთიან პროგრამაშია ასახული.

პარტიის სოციალურ-ეკონომიკური მიმართულება ეფუძნება ლიბერალურ ეკონომიკურ იდეოლოგიას. მათი ხედვა არის მემარჯვენე-ცენტრისტული.

პროგრამის შექმნაზე მონაწილეობდა პარტიის ეკონომისტთა ჯგუფი და მოწვეული ექსპერტები. ამ პროცესს კოორდინირებას უწევდა ნიკოლოზ გელაშვილი. შემუშავებული ხედვების გაცნობა ხდებოდა ფართო საზოგადოებისათვის სხვადასხვა ტიპის შეხვედრების დროს.

პოლიტიკური პარტიის ძირითადი გეზის ცვლილება არ განხორციელებულა, თუმცა განახლებას ექვემდებარება სხვადასხვა მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა. იგეგმება პროგრამის დეტალების დაზუსტება, რაც სხვადასხვა საჭიროებებით არის გამოწვეული, მაგალითად, საგადასახადო რეჟიმის ცვლილებები.

პარტიის პროგრამის სოციალურ-ეკონომიკური ნაწილში დეტალური ფინანსური გაანგარიშებები მოცემული არ არის. თუმცა პარტიის წარმომადგენლის თქმით, ყველა საკითხზე ხდება ექსპერტთა მოსაზრებების და გაანგარიშებების განხილვა და გათვალისწინება. პარტია თავის წევრებს თხოვს წარმოადგინონ საკუთარი შეხედულებები პროგრამის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით.

ექსპერტებთან და მოსახლეობასთან შეხვედრების დროს ხდება პარტიის პროგრამის დავრცელება. პარტიის ოფისში ეს პროგრამა ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. მომავალში იგეგმება პროგრამის ვებ-გვერდზე განთავსება.

პარტიის წარმომადგენლის აზრით, მოსახლეობიდან არსებობს მოთხოვნა პროგრამის ძირითად ხედვებზე და არა მთლიან სამოქმედო გეგმაზე. ეს ბოლო კი ექსპერტებისთვის არის საჭირო.

პროგრამის შედგენის დროს ხდება ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს გამოყენება. პარტიის წარმომადგენლის თქმით, პროგრამის შედგენის დროს მხოლოდ ტექნიკური/მატერიალური პრობლემები არსებობს.

პროგრამის შედგენის/განახლების პროცესში პარტია საჭიროებს უცხოური გამოცდილების შესახებ დამატებით ინფორმაციას.

#### **4.6. „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები“**

##### ***პროგრამის/ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ანალიზი***

პოლიტიკური პარტია "ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები" დაფუძნდა 2009 წლის 16 ივლისს. პარტიის მიზანია ქვეყნის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, სადაც უზრუნველყოფილი იქნება სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური ელემენტების – ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების, კანონის უზენაესობისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების დაცვა. თავისუფალი დემოკრატების მსოფლმხედველობა ეროვნულ ტრადიციებს ეფუძნება.

პოლიტიკურ პარტიას შემუშავებული აქვს ძირითადი საპროგრამო მიმართულებები (10 გვერდი), რომელსაც დაეფუძნება დარგობრივი სტრატეგიები და პროგრამები სამოქმედო გეგმების სახით. ძირითადი საპროგრამო მიმართულებები შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- მმართველობის ფორმა;

- ეკონომიკა;
- სამართალი;
- განათლება და მეცნიერება;
- კულტურა;
- სპორტი;
- საგარეო პოლიტიკა;
- თავდაცვა და უსაფრთხოება;
- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და კონფლიქტები;
- თავისუფალი მედია;
- გარემოს დაცვა.

ძირითადი საპროგრამო მიმართულებების ეკონომიკის ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე, რომლის შედეგად მიღწეული იქნება გრძელვადიანი, მდგრადი ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკის ნაწილში მოყვანილია ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტები:

- მაკროეკონომიკური სტაბილურობა;
- ეკონომიკის სახელმწიფო მართვის სისტემის რეფორმირება;
- ეკონომიკის რეალური სექტორის სტიმულირება;
- ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის, ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარებისათვის;
- მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება და განვითარება;
- სოფლის მეურნეობის განვითარება;
- საქართველოში სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევა;
- დარეგულირებული და დაბალანსებული საიმპერაციო პოლიტიკის შექმნა;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ჯანდაცვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება თითოეული მოქალაქისათვის;
- ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის მნიშვნელობის გაღრმავება.

"ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატიების" საპროგრამო მიმართულებები ზოგად ხასიათს ატარებს და ძირითადად პარტიის პრიორიტეტებს ასახავს. არ არის წარმოდგენილი გაანგარიშებები, ასევე არ არის დაკონკრეტებული პრობლემის გადაჭრის გზები. უნდა აღინიშნოს, რომ საპროგრამო მიმართულებები სტრუქტურირებულია ისე, რომ ზოგან ჩანს, თუ როგორ მიიღწევა პრიორიტეტი. მაგალითად, უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია „მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკითა და ინფლაციის დაბალი დონით, დაბალანსებული გამჭვირვალე ბიუჯეტით, ლიბერალური საგადასახადო სისტემით, საბანკო-საფინანსო სისტემის სტაბილურობით და მასზე ზედამხედველობის ფუნქციების გაძლიერებით.“ ზოგიერთ შემთხვევაში კი ჩანს, თუ თუ რა შედეგი მოყვება ღონისძიებას ზოგადად, მაგალითად, „ეკონომიკის რეალური სექტორის სტიმულირება საშუალებას მოგვცემს, გაიზარდოს წარმოება, ექსპორტი, შემცირდეს საგარეო ვალის მოცულობა და საბოლოო ჯამში გაუმჯობესდეს ქვეყნის საგადასახადო ბალანსი“. სასურველია ყველა პრიორიტეტს ჰქონდეს ერთნაირი ფორმულირება, ასევე მოხდეს პრობლემის, ღონისძიებების, შესაბამისი ღირებულებებისა და ეფექტების გამონგარიშება, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტია ახალი შექმნილია და როგორც ზემოთ არის აღნიშნული ის გეგმავს საპროგრამო მიმართულებებზე დაყრდნობით დარგობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას.

**პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგები**

## **შეხვედრაზე დამსწრეები: დავით ონოფრიშვილი, 23.10.2009**

პარტიის პროგრამის ერთი ნაწილი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს ეხება და ცალკე სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა პარტიას არ გააჩნია. პარტიის ერთიან პროგრამაში სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი არც ისე მწირადაა წარმოდგენილი, თუმცა მოიცავს შედარებით ზოგად ხედვებს. მომავალში საპროგრამო დოკუმენტს დაეფუძნება დარგობრივი სტრატეგიები და პროგრამები სამოქმედო გეგმების სახით.

პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამული ნაწილი ძირითადად ეფუძნება თავისუფალი დემოკრატიის იდეოლოგიას. პარტიის ფასეულობები მოცემულია (ჩამოყალიბებულია) ცალკე დოკუმენტში - პარტიის ფასეულობები, რომლის მიხედვით პარტიის მიზანია მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა; კონკურენტუნარიანი, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და მდგრადი ეკონომიკური ზრდა; უკიდურესი სიღარიბის დაძლევა; ახალი სამუშაო ადგილებისა და გარანტირებული სოციალური დაცვის სისტემის შექმნა. პარტიის წარმომადგენლის განმარტებით, ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია კერძო საკუთრების ინსტიტუტების გაძლიერება და საკუთრების უფლების ხელშეუხებლობა.

სოციალურ-ეკონომიკური ნაწილის შედგენაზე მუშაობდა პარტიის სამუშაო ჯგუფი, ხოლო განხილვები გაიმართა ალიანსის შიგნით, ასევე ცალკეულ ექსპერტებთან. პროგრამა ახალშემუშავებულია, ამდენად არსებითი ცვლილებები არ განუცდია. პროგრამა გასული წლის აგვისტოს მოვლენების და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდგომ არის გაკეთებული, ამიტომაც მისი შედეგები შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა.

პარტიის წარმომადგენლის თქმით, სოციალურ-ეკონომიკური ნაწილის თითოეული ღონისძიების ფინანსური გაანგარიშებები ცალკე გაკეთებული არ არის, ვინაიდან პროგრამის შემუშავება მოხდა ძალიან სწრაფ რეჟიმში. ამასთან, ალიანსის წევრთა პროგრამები მოიცავს გარკვეულ გაანგარიშებებს, ამდენად, ალიანსის გაერთიანებულ პროგრამაში გაანგარიშებები მოცემული იქნება.

პარტიის წარმომადგენლებს მუდმივი შეხვედრები აქვთ მოსახლეობასთან, საიდანაც ხდება მათი მოსაზრებების მიღება. გარდა ამისა, ონლაინ რეჟიმში ვებ-გვერდის მეშვეობით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ კითხვები დაუსვან პარტიის ხელმძღვანელ პირებს. ვებ-გვერდზე მოთავსებულია როგორც პარტიის პროგრამა, ასევე პლატფორმა, ამდენად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს მათ.

დახვეწილ პროგრამას პარტიისთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მითუმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც ამომრჩევლის კულტურა იზრდება ქვეყანაში და სულ უფრო მეტი ადამიანი ითხოვს პარტიისგან ძირითად ხედვებს არა მხოლოდ ზეპირი, არამედ წერილობითი ფორმით. ვინაიდან პროგრამა ახალშემუშავებულია, მისი არსებითი გადამუშავება არ იგეგმება, თუმცა ხდება ცალკეული ნაწილების შევსება.

პროგრამის შემუშავებისას არსებითი ხარვეზები არ ყოფილა. პარტია აქტიურად მუშაობს შერჩეულ 4 რეგიონში გაფართოებაზე და სწორედ პოპულარიზაციისთვის აუცილებელია გარკვეული რესურსები.

### **4.7. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომავლის პარტია“**

#### **პროგრამის/ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ანალიზი**

„მომავლის პარტიის” მიერ წარმოდგენილ პროგრამას არა აქვს საპროგრამო სახე, ის რეალურად პარტიის დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის გიორგი მასისაშვილის მონოგრაფიული ჟანრის ნაშრომია. თუმცა, ამ ნაშრომში საკმაოდ დეტალურად და სრულყოფილად არის წარმოდგენილი ავტორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ხედვა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან არაერთ საკითხზე. მთელს ნაშრომში ემყარება ლიბერალური ეკონომიკის პრინციპებს, თუმცა ზოგიერთ ნაწილში მინიმალური რეგულირება და სოციალური პოლიტიკის გატარებაა რეგლამენტირებული.

ნაშრომში ჩამოყალიბებული მოსაზრებები მოცემულია 28 ძირითად თავში. ჩამოყალიბებული მიმართულებებიდან სოციალურ-ეკონომიკურ ნაწილს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ეხება (თუმცა ეკონომიკური აზრი აბსოლუტურად ყველა თავშია გატარებული):

- ქართული ეკონომიკური საოცრება;
- ჩვენი შეხედულება ეკონომიკაზე;
- მთავრობის პრიორიტეტები: მთავარია ეკონომიკა?!
- 21- საუკუნის მთავრობის პრიორიტეტები;
- ხელშემწყობი ბიზნეს-გარემოს შექმნა;
- მაკროეკონომიკური პოლიტიკა;
- ფისკალური პოლიტიკა;
- პრივატიზაცია;
- ერის კეთილდღეობის წყარო - კონკურენტუნარიანი უპირატესობა;
- რეფორმა: საბითუმო და საცალო;
- მომავლის მთავრობა გლობალურ გარემოში.

თუ ამ ნაშრომს პოლიტიკური პარტიის ძირითად ხედვად შევაფასებთ, მაშინ პარტიის საერთო ხედვა სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს ეფუძნება:

- 21-ე საუკუნეში აუცილებელია თავისუფალი ბაზარი, ლიბერალური ეკონომიკა, სიმდიდრის შექმნის პრაგმატული მხარე. ასევე უნდა ირწმუნო იდეალიზმი სოციალური მოდელისა, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ნაკლებად შეძლებული ნაწილის აღჭურვას იმ ამუნიციით (ძირითადი უნარ-ჩვევები, ჯანდაცვა, უმუშევართა დახმარება), რაც ამ ახალი სისტემის პირობებში გადარჩენისა და მატერიალური უზრუნველყოფის საშუალებას შექმნის. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება ვერ მიაღწევს სტაბილურობას;
- გლობალურ პროცესში და დანარჩენ მსოფლიოსთან ინტეგრირების გარეშე, საზოგადოება ვერ შექმნის მატერიალურ კეთილდღეობასა და ცხოვრების მაღალ დონეს, ვერ შესძლებს ნაკლებად უზრუნველყოფილთა დახმარებას;
- დინამიურ, თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკის მშენებლობა, სადაც ანტიკორუპციონერებსა და რისკის გამწევეებს აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად მისდიონ თავიანთ ბიზნეს წამოწყებებს. ჯანსაღი ეკონომიკა თავად არის ყველაზე ეფექტური სოციალური უსაფრთხოების ბადა;
- ისეთი სოციალური პოლიტიკის გატარება, რომელიც ცვლადი ეკონომიკური გარემოს პირობებში, შეძლებს დასაქმებიდან დროებით გამოდევნილთა გადამზადებასა და პატრონობას, რათა ისინი კვლავ დაუბრუნდნენ დასაქმებულთა რიგებს. ყველა მუშაკმა უნდა გააცნობიეროს, რომ გლობალიზაციის პირობებში, ეკონომიკური უსაფრთხოების ერთადერთი წყაროა მუდმივად განახლებადი უნარ-ჩვევები და ცოდნის შეძენის განუწყვეტელი პროცესი. მთავრობის ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ მისცეს მოქალაქეებს შესაძლებლობა, ამ პრობლემასთან შებრძოლებისა არა მხოლოდ პიროვნულად, არამედ მთავრობასთან ერთად და მთავრობის დახმარებით;
- მაკროეკონომიკური სტაბილურობა ანუ დაბალი ინფლაციის დონე და დისციპლინირებული საზოგადოებრივი და სამთავრობო ფინანსები, რაც აუცილებელია ეკონომიკაში გრძელვადიანი ინვესტიციებისათვის. 3,5%-იანი სამიზნე ინფლაცია, რაც

საშუალებას მისცემს ქვეყანას მიაღწიოს ევრო ვალუტის მქონე ქვეყნების დონეს და მათთან საერთო სტანდარტების არსებობას;

- ფისკალური პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა იყოს მიზნობრივი და დისციპლინირებული გამოყენება სახელმწიფო ფინანსებისა. მთავრობა უნდა აკმაყოფილებდეს მის საგადასახადო ანუ სამემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის პრიორიტეტებს, სახელმწიფო სესხის გაუმართლებელი ზრდის გარეშე;
- პრივატიზაცია უნდა იყოს სოციალურად და საზოგადოების თვალში მისაღები, იგი უნდა ეფუძნებოდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპს;
- სხვა პრინციპები.

საერთო ჯამში უნდა ითქვას, რომ გ. მაისაშვილის ნაშრომში არ არის წარმოდგენილი კონკრეტული ფინანსური მაჩვენებლები და სხვა ინფორმაცია, რაც მოგვცემდა საშუალებას გაგვეაზრებინა წარმოდგენილი რეფორმის ფინანსური საჭიროებები.

### **პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგები**

#### **შეხვედრაზე დამსწრეები: ზაზა თაბაგარი, 19.10.2009**

პარტიას ცალკე პროგრამა არ გააჩნია და საქმიანობას ძირითადად წარმართავს მისი ხელმძღვანელის (გ. მაისაშვილი) მიერ შემუშავებული ხედვის საფუძველზე (ქართული ეკონომიკური საოცრება), რომელიც დაბეჭდილია წიგნად. რესპოდენტის განმარტებით, ეს წიგნი პოპულარული ენითაა დაწერილი და საზოგადოების ფართო ფენებისთვის ადვილად აღქმადია. მიმდინარე ეტაპზე მუშაობენ ცალკე საპროგრამო დოკუმენტზე, რომელიც წიგნში მოცემულ ხედვებს ეყრდნობა.

პარტიის ხედვებში ლიბერალური ეკონომიკა გაკრიტიკებულია და თვლიან, რომ მხოლოდ ბაზარი ვერ დაარეგულირებს ეკონომიკაში პროცესებს საზოგადოებისთვის სასარგებლოდ. ამასთან, 21-ე საუკუნეში მოსალოდნელია სახელმწიფოს როლის გაზრდა მსოფლიოში და პარტიის ხედვებიც ამას ეყრდნობა. ამდენად, პარტიის პროგრამა მემარჯვენე-ცენტრისტულია, თუმცა ზოგიერთ ნაწილში სოციალიზმის ელემენტებსაც მოიცავს.

ზოგადად პარტიის ხედვის ფორმირება პარტიაში შიგნით (შიდა რესურსებით) ხორციელდება. პროცესში ჩართულები იყვნენ: გია მაისაშვილი, ზაზა თაბაგარი, მერაბ მაღლაკელიძე, მერაბ თორია, ლერი ტყეშუჩავა და სხვები. პარტიაში მიმდინარეობს შიდა დისკუსიები. გაიმართა გ. მაისაშვილის წიგნის პრეზენტაცია, რომელსაც დიდი დაინტერესება მოჰყვა. პრეზენტაციაზე მოწვეულნი იყვნენ პოლიტიკური პარტიები და ექსპერტებიც.

დოკუმენტის ძირეული გადახედვა არ მომხდარა და არც ამის საჭიროება არ არსებობს. შესრულების ფაზაში მოხდება კონკრეტულობა და ცალკეული მიმართულებების დახვეწა. ფინანსური კრიზისის პერიოდში მოხდა ინიციატივების აკუმულირება, მაგრამ წერილობითი ფორმით არ ყოფილა და შესაბამისად პროგრამული ცვლილებები არ განხორციელებულა.

პროგრამის ფინანსური გაანგარიშებები ცალკე არსებობს, თუმცა წარმოდგენილი არ ყოფილა და მოგვიანებით მოხდება მოწოდება. მათი გათვლებით, ეკონომიკური ბუმის მიღწევა 6 თვეშია შესაძლებელი, რისი შედეგიც იქნება ეკონომიკური ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ. ამისათვის კი, მათი ხედვით, საჭიროა დღგ-ს შემცირება, ხოლო იმპორტირებულ

ნედლეულზე საერთოდ მოხსნა. ასევე უნდა მოხდეს მოგების გადასახადის გაუქმება რეინვესტირების შემთხვევაში.

პროგრამა (პარტიის ლიდერის წიგნი) განთავსებულია პარტიის ვებ-გვერდზე და ვრცელდება რეგიონალურ შეხვედრებზე. უკუკავშირი ძირითადად ვებ-გვერდის მეშვეობით ხორციელდება. მათი მოსაზრებით, ცუდია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ გამოიყენება პარტიების პოპულარიზაციისათვის.

პარტიის პროგრამაზე ნაკლებად არიან ორიენტირებული, ძირითად აქცენტს პოსტულატებზე აკეთებენ და თვლიან, რომ ახლანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში პროგრამით კონკურენცია არ ხორციელდება. თვენახევრიანი წინასაარჩევნო პერიოდი იმდენად მცირეა, რომ პროგრამით ამომრჩევლის მოზიდვა არაეფექტურია და ძირითადად მოკლევადიან პიარ-კამპანიებს ანიჭებენ უპირატესობას.

უახლოეს მომავალში პარტიის პროგრამის განახლება მოხდება, რადგანაც არსებობს ახალი ხედვები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაზე. ცვლილებები სოციალურ-ეკონომიკურ ნაწილს არ შეეხება, რადგანაც შეხედულებები უცვლელია, უბრალოდ მოხდება მათი დეტალიზება.

პროგრამის შემუშავებისას ყველაზე დიდი პრობლემაა ფინანსური, მატერიალური რესურსების სიმწირე, რათა განხილვები და დახვეწა მოხდეს სათანადოდ.

დახმარებებიდან მნიშვნელოვანია ის, რომ უფრო ახლოს იყვნენ საზოგადოებასთან და ამისათვის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დებატების/განხილვების გამართვას საჭიროებენ.

#### **4.8. საქართველოს ლეიბორისტული პარტია**

##### ***პროგრამის/ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ანალიზი***

საქართველოს ლეიბორისტული პარტია სოციალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკური გაერთიანებაა.

პარტიის მთავარი მიზანია დემოკრატიულ საერთაშორისო თანამეგობრობაზე ორიენტირებული ძლიერი, განვითარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა, სადაც გარანტირებული იქნება სოციალური სამართლიანობა და ყველას მიეცემა საშუალება თავად გახდეს ქვეყანაში კეთილდღეობის შექმნისა და მისი განაწილების პროცესის აქტიური მონაწილე. პარტიის ამოცანებია:

- ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება, საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბება, თავისუფალი მეწარმეობის განვითარება, ეკონომიკის მრავალწყობიანობისა და მისი გონივრული მართვადობის უზრუნველყოფა;
- საზოგადოების ყველა ფენის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა.

საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას ცალკე სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა არ აქვს შემუშავებული, რადგან ეს საკითხები მთლიანი პროგრამის შემადგენელი ნაწილია. მთლიანი პროგრამა 24 გვერდისგან შედგება და შემდეგ თავებს მოიცავს:

1. პრეამბულა
2. სამართლიანი და დემოკრატიული სახელმწიფო
3. თანამედროვე და განვითარებული ეკონომიკა
4. სოციალური სამართლიანობა

5. ქართული კულტურის მხარდაჭერა
6. საერთაშორისო ურთიერთობები
7. სპორტის ხელშეწყობა

თანამედროვე და განვითარებული ეკონომიკის ფარგლებში ლეიბორისტული პარტიის პროგრამის ამოცანებია:

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;
- სახელმწიფოში ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს შექმნა და ინვესტიციების დაცვა;
- საგადასახადო სისტემის გამარტივება, ადმინისტრირების გამჭვირვალობისა და სამეწარმეო საქმიანობის საგადასახადო სტიმულირების უზრუნველყოფა;
- ანტიკორუფციული ღონისძიებების გააქტიურება;
- კერძო საკუთრების ინსტიტუტის ხელშეუხებლობა და განმტკიცება;
- საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესებში აქტიური მონაწილეობა;
- ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, ჩრდილოვანი და არალეგალური ეკონომიკის მასშტაბების მინიმუმამდე დაყვანა;
- მდგრადი სამართლებრივ ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება;
- ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების პირობათა რეალიზაცია.

პარტია მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს როლის ამაღლება ეკონომიკის რეგულირების პროცესში გარდაუვალი ხდება მოსახლეობის მოთხოვნილებების, სოციალური სამართლიანობის დაცვის, ადამიანის თავისუფალი, უსაფრთხო განვითარების აუცილებლობის გათვალისწინებით.

პროგრამის ეკონომიკური ნაწილი შედგება შემდეგი ქვეთავებისაგან:

- ეკონომიკური პრიორიტეტები და იმპერატივები
- სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში
- დასაქმების პოლიტიკა
- გადასახადები ბიუჯეტისთვის, ხოლო ბიუჯეტი ხალხისთვის
- ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება
- სოფლის მეურნეობა და მრეწველობა

პარტიის პროგრამის სოციალური ნაწილი მოიცავს შემდეგ ქვეთავებს:

- სამართლიანობა და სოლიდარობა
- პენსიონერთა და დასაქმებულთა მინიმალური შემოსავლები
- ჯანდაცვა ყველასათვის
- ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება
- მეცნიერების აქტუალიზაცია
- ქალთა უფლებები და ახალგაზრდები
- ზრუნვა თითოეული ოჯახისათვის

პარტიის პროგრამა კარგად არის სტრუქტურულიზებული და საკმაოდ მნიშვნელოვან პოსტულატებს მოიცავს, თუმცა კონკრეტული საქმიანობების ფინანსური გაანგარიშებები და შემდეგი-დანახარჯის ანალიზი მოცემული არ არის. მაგალითად, რა ფინანსური რესურსებია საჭირო მინიმალური პენსიის საარსებო მინიმუმამდე გაზრდისათვის და რომელ წლებში არის შესაძლებელი ამ ამოცანის განხორციელება.

**პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგები**

## სატელეფონო საუბარი ბატონ პაატა ჯიბლაძესთან, 16.10.2009

პარტიას აქვს პროგრამა, რომლის დიდი ნაწილი ეთმობა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, ამჟამად მიმდინარეობს და მომავალში იგეგმება შემდეგი ნაწილების სრულყოფა და განვითარება: ენერგეტიკა (როგორც ძირითადი დარგი; ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიმდინარეობს შეხვედრები შესაბამის სპეციალისტებთან); სოფლის მეურნეობა (ფერმერული მეურნეობების განვითარება და ფერმერული საშუალო კლასის შემქნა); გადამამამუშავებელი და მსუბუქი მრეწველობა.

პოლიტიკური პარტია მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უნდა განვითარდეს ეროვნულ-სოციალური პრინციპებზე დაყრდნობით, რომელშიც დაცული იქნება ადამიანის შრომითი და სხვა უფლებები, მომხმარებლის უფლებები. თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ არ უნდა განვითარდეს კერძო სექტორი. ცხადია, უნდა არსებობდეს კერძო სკოლები, საავადმყოფოები და სხვა, მაგრამ მათ მომსახურებისა და ტექნიკური აღჭურვილობის დონით არ უნდა ჩამოუვარდებოდნენ სახელმწიფო დაწესებულებები.

პროგრამის შემუშავებისას ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ფინანსური სახსრების სიმწირე, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს ექსპერტების მოწვევის და საჭირო ფინანსური გათვლების შესაძლებლობას. პარტიის აზრით, აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ხელშეწყობა.

### 4.9. პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“

#### *პროგრამის/ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ანალიზი*

პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“ დაარსდა 2006 წელს. პარტიის მიზანია ერთიანი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმის, ეროვნული მსოფლმხედველობისა და იდეალების, ეთნიკური, კონფესიური, კულტურული და ტრადიციული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

პარტიის პროგრამა შედგება შემდეგი თავებისაგან:

- I. პოლიტიკური განთავისუფლება: ნამდვილი და ეფექტური დემოკრატია (1-2 გვერდი)
- II. ერის და საზოგადოების გაჯანსაღება (2-7 გვერდი)
- III. ერის გამოცოცხლება: ლიბერალური და სოლიდარული ეკონომიკა (7-11 გვერდი)
- IV. ქვეყნის მოწყობის პრინციპები (11-14 გვერდი)

პარტიის ეკონომიკურ ნაწილი, თავის მხრივ, შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. ჩვენი პოლიტიკის ერთადერთი საყრდენი: კერძო საკუთრება და მისი ხელშეუხებლობა.
2. კოლონიალურ წყობიდან ბოლომდე გამოსვლა
  - ა. რესურსების შესწავლა
  - ბ. რესურსების შიდა გადამამუშავების პოლიტიკა
  - გ. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გამოკვეთა დამოუკიდებლობის გზა: ენერგეტიკული პოლიტიკა
3. კერძო ინიციატივისათვის ხელშეწყობა
4. სოლიდარობის პრინციპის აღდგენა

პროგრამაში ღონისძიებები მხატვრულად და ორიგინალურად არის წარმოდგენილი, მაგრამ ძირითადად დასაბუთებულია მენტალური და კულტურული თვალსაზრისით და არა სპეციალური ფინანსური გაანგარიშებებით. მაგალითად, კერძო ინიციატივების ხელშეწყობის ნაწილში ჩამოთვლილია შემდეგი ხელისშემწყობი ფაქტორები:

- სწორი აღზრდა და განათლება; თავისუფალი აზროვნების დანერგვა; მათხოვრის მენტალობიდან გამოსვლა და თავის თავის იმედზე გადასვლა უცხო ან შიდა მარჩენალის იმედზე ყოფნის მაგივრად.
- ადვილად მისაწვდომი კრედიტი, სოფლისათვის და ღარიბ ფენებისათვის მიკროკრედიტების რეალური საშუალება, რათა ახალი წამოწყების შანსი გაჩნდეს.
- ძლიერი სამართლებრივი გარემო: ინიციატივა და ინიციატორი დაცულები თუ არ იქნებიან, ვერ გაბედავენ რამეს წამოწყებას.
- სწორი საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ბიძგს მისცემს ინიციატივას და არ შეზღუდავს. დამწყებ პატარა საწარმოებს უნდა მიეცეს ორი წლის გადასახადიდან განთავისუფლების გარანტია. ზოგადად საგადასახადო პოლიცია არ უნდა გახდეს ახალი დაშინების ინსტიტუტი, რომელიც აფრთხობს შიდა და გარე ინვესტორებს.

#### 4.10. „პოლიტიკური მოძრაობა თავისუფლება“

##### *პროგრამის/ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ანალიზი*

პოლიტიკურ მოძრაობა „თავისუფლებას“ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომად ჩამოყალიბებული და გამოცემული აქვს არა მთლიანი პროგრამა, არამედ ძირითადი საპროგრამო თეზისები. აღნიშნული თეზისები ძირითად გზავნილებად არის წარმოდგენილი და არ არის დეტალიზებული, ასევე არ ახლავს შესაბამისი ფინანსური ნაწილი (გაანგარიშებები). პროგრამაში დეკლარირებულია, რომ მოძრაობის მიზანია „გვექონდეს სამართლებრივი, დემოკრატიული და ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფო და არა საეჭვო საპრივატიზაციო პოლიტიკით მიღებული კრიმინალური სინდიკატი“.

საპროგრამო თეზისებში ჩამოყალიბებული გზავნილები ნაკლებად სტრუქტურირებულია და შემდეგ 22 მიმართულებას ეხება:

- ის რაც ეხება ყველას (ეხება ძირითად მიდგომებს და მოსაზრებებს);
- ეროვნული უმცირესობები;
- აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულები;
- აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა;
- პენსიონერები, ინვალიდები, ომის ვეტერანები;
- მრავალშვილიანი ოჯახები;
- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგიური უმცირესობები;
- უკანონოდ დაკავებულ პირთა და მათი ოჯახების მორალური და მატერიალური რეაბილიტაცია;
- სტუდენტობა და მოსწავლეები;
- საკუთრების უფლების ხელშეუხებლობა;
- ისტორიულ უბნებში მაცხოვრებლები;
- სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლის ქვეშ მყოფი მეწარმეები;

- გლეხობა და ფერმერები;
- ქმედითუნარიანი უმუშევარი მოსახლეობა;
- საქართველოს შეიარაღებული ძალები;
- მეცნიერება;
- შემოქმედებითი ინტელიგენცია;
- სამედიცინო პერსონალი;
- საშუალო სკოლის პადაგოგები;
- სახელმწიფო მოხელეები;
- სპორტის მოღვაწეები;
- საზღვრისპირა რეგიონებში მაცხოვრებლები.

ჩამოთვლილი მიმართულებებიდან სოციალურ-ეკონომიკურ ნაწილს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ეხება და მათში შემდეგი ძირითადი აზრია გატარებული:

✓ **ის რაც ეხება ყველას.** ამ ნაწილში სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებებიდან ძირითადად დეკლარირებულია, რომ მიწის საკუთრებაში გადაცემა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის ან საქართველოს სახელმწიფოსთვის. ტყის მასივების, მდინარეების, მათი კალაპოტის და ზღვის სანაპირო ზოლის სამუდამო გასხვისება აკრძალულია;

✓ **პენსიონერები, ინვალიდები, ომის ვეტერანები.** პენსიების გაზრდა საარსებო მინიმუმამდე; პენსიონერთა სტაჟისა და დამსახურების გათვალისწინება პენსიის გაანგარიშებისას; სოციალური შეღავათების პროგრამის, პირველადი უფასო სამედიცინო მომსახურების, უფასო სასწრაფო დახმარების და დასაქმების პროგრამების შემუშავება;

✓ **მრავალშვილიანი ოჯახები.** თითოეულ შვილზე სრულწლოვანებამდე ფინანსური დახმარება; შეღავათების დაწესება გადასახადებზე, ტრანსპორტზე და სამედიცინო მომსახურებაზე; შეღავათების დაწესება საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, სპეციალური სტიპენდიების დაწესება და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;

✓ **საკუთრების უფლების ხელშეუხებლობა.** ყველა სადავო გადაწყვეტილების გადასინჯვა სამართლებრივი გზით; უკანონოდ ჩამორთმეული ან განადგურებული ქონების კომპენსაცია შესაბამისი თანხით ან სხვა მატერიალური ფასეულობით;

✓ **სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლის ქვეშ მყოფი მეწარმეები.** რეალური საგადასახადო შეღავათები მცირე და საშუალო ბიზნესს; ფინანსური ამნისტია მსხვილი ბიზნესისთვის; საბუჯეტო დღგ-ს განაკვეთის შემცირება; პრიორიტეტული დარგების წინ წამოწევა და განვითარებისთვის კრედიტების გამოყოფა; სალარო აპარატების არასავალდებულობა მცირე მეწარმეებისათვის;

✓ **გლეხობა და ფერმერები.** ადგილობრივი ბაზრის დაცვა ქვეყანაში შემოსული პროდუქციით ბაზრის დაპყრობისაგან; გლეხებისა და ფერმერებისათვის სუბსიდიების მიცემა და ისტორიული დარგების (მევენახეობა, მეხილეობა, მეხორბლეობა, მეცხოველეობა) გადარჩენა; პროდუქციის შესყიდვა გლეხებისა და ფერმერებისგან სახელმწიფოს მიერ საბაზრო ღირებულების თანხებით; საქართველოს აგრარული ბანკის შექმნა;

✓ **ქმედითუნარიანი უმუშევარი მოსახლეობა.** შრომის ბირჟის შექმნა და რეალური ამოქმედება; უმუშევრებისათვის მინიმალური სოციალური დახმარების შემოღება; რეალური ნაბიჯების გადადგმა სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

საერთო ჯამში უნდა ითქვას, რომ საპროგრამო თეზისები ძალიან ზოგადი ხასიათისაა და მოიცავს სახელმწიფოს მაქსიმალურ ჩარევას ეკონომიკაში, მინიმალური საბაზრო პრინციპების დაცვით. აღნიშნული პროგრამის რეალიზაცია პარადოქსულად მინიმალური გადასახადების პირობებში სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალური სოციალური ვალდებულებების აღებას გულისხმობს.

#### 4.11. საქართველოს ქალთა პარტია „სამართლიანობისა და თანასწორობისათვის“

##### *პროგრამის/ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ანალიზი*

პოლიტიკურ პარტიას სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა არ გააჩნია, ამ მიმართულებით ძირითადი ხედვები მოცემულია 2 გვერდიან დოკუმენტში.

პარტია თავისი მიმართულებით ცენტრისტულ-მემარცხენე ორიენტაციისაა. ქვეყნის განვითარების მოცემულ ეტაპზე, სანამ არ შეიქმნება მნიშვნელოვანი რაოდენობის და გავლენის მქონე საშუალო კლასი, სახელმწიფო ნაწილობრივ უნდა ერეოდეს ბაზრის რეგულირებაში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რადგან ეს ქალებისთვის ძალიან ხელსაყრელია. ამ შემთხვევაში ქალებს შეუძლიათ ბიზნესის ოჯახურ მოვალეობებთან შეთავსება.

სოციალური საკითხებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- დემოგრაფიული პრობლემის მოგვარება;
- მიგრაციის საკითხები;
- დასაქმების ხელშეწყობა;
- შრომის კანონმდებლობის დახვეწა;
- სოციალური დახმარებები.

პარტიის ხედვებში ვხვდებით ინიციატივას: „უნდა აღდგეს მიზნობრივი „დასაქმების სახელმწიფო ფონდის“ საფინანსო ინსტიტუტი, სადაც გადარიცხება საშემოსავლო გადასახადის 1,0-1,5% და საბიუჯეტო წლის განმავლობაში თანხების აუთვისებლობის შემთხვევაში მოხდება მათი ფონდში აკუმულირება; აღნიშნული ფონდიდან დაფინანსდება დასაქმების ხელშეწყობისა და უმუშევართა სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამები.“

პარტიას არ გააჩნია სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა. წარმოდგენილი დოკუმენტი მხოლოდ ძირითად მიმართულებებს მოიცავს არასრულად, ფინანსური გაანგარიშებების გარეშე.

#### **დასკვნები**

საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამების ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუების შემდეგ გამოიკვეთა საერთო სურათი:

- პოლიტიკური პარტიების გარკვეულ ნაწილს საერთოდ არ გააჩნია წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული პროგრამა და მათი საქმიანობა ძირითადად ზეპირ მოსაზრებებს ეყრდნობა;
- ყველა პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც გააჩნიათ წერილობითი ფორმის პროგრამა, მოცემული აქვს სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი. გამონაკლისს წარმოადგენს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, რომელსაც პროგრამაში საერთოდ არა აქვს ეს ნაწილი წარმოდგენილი;

- ცალკე სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა არცერთ პარტიას არ გააჩნია. ყველაზე ვრცლად სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი წარმოდგენილია „ახალი მემარჯვენეების“ პროგრამაში და ის პროგრამის დიდ ნაწილს შეადგენს;
- პარტიების პროგრამების სოციალურ-ეკონომიკური ნაწილები ძირითადად სხვადასხვა პრინციპებზეა აგებული. ასევე განსხვავებულია ის ხედვები, რასაც სამომავლო სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები ეყრდნობა. აბსოლუტური უმრავლესობა ლიბერალური ეკონომიკის მომხრეა, თუმცა გარკვეული ზომიერი სახელმწიფო რეგულირების ფონზე;
- როგორც წესი, პოლიტიკური პარტიების უმეტესობის პროგრამები წინასაარჩევნო პერიოდისთვის მზადდება და შემდგომ არჩევნებამდე მათი გადამუშავება არ ხორციელდება. ვინაიდან მომდევნო წელს დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები, ზოგიერთი პარტიის მხრიდან საარჩევნო პროგრამების დახვეწა-გადამუშავების პროცესი დაწყებულია (მაგალითად, „ალიანსი ერთიანი საქართველოსთვის“);
- პოლიტიკური პარტიების უმეტესობის პროგრამების სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი არ მოიცავს კონკრეტულ ფინანსურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებს და მათ ზოგადი განაცხადის სახე გააჩნიათ. ასევე არ მოიცავს იმ რიცხობრივ შედეგებს, რასაც უნდა მიაღწიოს პარტიამ რეფორმების გატარების შემდგომ;
- პარტიების უმეტესობის განცხადებით, ხდება ხალხთან მუდმივი შეხვედრები და უკუკავშირი. შეხვედრებზე ხდება პარტიების პროგრამების გაცნობა და ხალხისთვის დარიგება. უმეტეს მოქმედ პოლიტიკურ პარტიას თავისი პროგრამები ვებ-გვერდებზე აქვს განთავსებული;
- პროგრამების შემუშავების დროს პარტიები ძირითადად რესურსების პრობლემებს უჩივიან (ადამიანური რესურსები, პროგრამების შემუშავებისა და განხილვისათვის საჭირო ფინანსური რესურსები) და სამომავლოდაც სწორედ ამ მდგომარეობის გაუმჯობესებას ისურვებდნენ.